



კვებითი აშლილობა და ოჯახური მდგომარეობა

ქეთევან თევზაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნათა შესაბამისად

სამაგისტროპროგრამა - ფსიქოლოგია (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია)

სოციალური ფსიქოლოგია, მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2018 წელი

აბსტრაქტი

მოცემული კვლევა მიზნად ისახავდა საქართველოში მყოფი ქალების კვებითი ჩვევების შესწავლას და იმის დადგენას დაოჯახებასთან ერთად, იცვლება თუ არა ქალების დამოკიდებულება თავშეკავების, კვებაზე ზრუნვის, საკუთარი სხეულის ფორმებისა და წონაზე ზრუნვის საკითხებში.

კვლევის ჰიპოთეზას წარმოადგენა, რომ დაოჯახებასთან ერთად იცვლება ქალების დამოკიდებულება თავშეკავების, კვებაზე ზრუნვის, საკუთარი სხეულის ფორმებისა და წონაზე ზრუნვის საკითხებში და იზრდება კვებითი აშლილობის რისკი.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 135 ქალმა, იმის გამო რომ ჩვენ გვინტერესებდა მხოლოდ დასაოჯახებელი და დაოჯახებული ქალები, გამოიხშირა სხვა მონაცემები (ქვრივი, განქორწინებული) და გაანალიზდა 127 ქალის მიერ შევსებული კითხვარი.

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს 18-დან 55 წლის ჩათვლით, საქართველოში მცხოვრებმა ქალებმა, რომლებსაც ბოლო 28 დღის მანძილზე მათ მიერ განხორციელებული კვებით და სხეულზე ზრუნვის ქცევებზე უნდა შეეფასო სპეციალურად ამ მიზნით აგებული საერთაშორისო კითხვარი.

მიღებული მონაცემები გაანალიზდა შემდეგ 4 ქვეკატეგორიაში: 1. თავშეკავება; 2. კვებაზე ზრუნვა; 3. სხეულის ფორმებზე ზრუნვა და 4. წონაზე ზრუნვა.

აღნიშნულმა კვლევამ დაადგინა, რომ დაოჯახებული ქართველი ქალები უფრო მეტად ამახვილებენ ყურადღებას სხეულის ფორმებსა და წონაზე, ვიდრე დასაოჯახებელი ქალები, რაც სავარაუდოდ მათში კვებითი აშლილობების (ბულემია, ანორექსია) რისკის გაზრდის აღმწერია, თუმცა ეს უკანასკნელი დამატებითი კვლევის საგანი გახდება მომავალში.

ძირითადი საკვანძო სიტყვები: ბულემია, ანორექსია, ოჯახური მდგომარეობა.

Abstract

The study was aimed to explain relation between eating disorders and marital status, in particular are women changing attitudes toward their nutrition, weight control and body shape or not.

The hypothesis of research suggests that women's attitude towards restraint, feeding, body care, and weight-care issues changes and risks of eating disorders are increasing.

135 women participated in the study, because we were interested only with unmarried and married women, we exclude widowers and divorced women in analyzing process and analyzed 127 women questionnaires.

The Eating Disorder Examination Questionnaire (EDE-Q) is a self-reported questionnaire and it was filled by women living in Georgia, who were from 18 to 55 years who have spent the last 6 month in Georgia and it provides a measure of the range and severity of eating disorder features in last 28 days.

The obtained data were analyzed in the following 4 subsections: 1. Restraint; 2. Eating attitude; 3. Care for body shapes and 4. Weight Management.

This study found that married women are more likely to focus on body shapes and weight than unmarried women in Georgia. Maybe there are at the risks of eating disorders (bullemia and anorexia), but this is the subject of further research in the future.

Key words: Bullemia, Anorexia, Marital Status.